საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

11/02/2022
N 09-02-16/65

65-09-02-16-2-202202111504

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარეს
ბატონ თორნიკე რიჟვაძეს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, გვაცნობოთ:

1. ქ. ბათუმში გოგოლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი(მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.29.17.039, 05.29.17.054 და 05.29.17.075) რა ფასში იქნა გასხვისებული და რა ვალდებულებებით (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2010 წლის 22 დეკემბრის №254 ბრძანება).
2. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია 2010 წლის 22 დეკემბრის №254 ბრძანებით გაფორმებულ ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.
3. შეასრულა თუ არა ზემოათნიშნული მიწის ნაკვეთის გასხვისების (2010 წლის 22 დეკემბრის №254 ბრძანებით) შემდგომ კომპანიამ ვალდებულებები გთხოვთ მიუთითოთ რომელი ვალდებულებები არ შესრულებულა;
4. ეთანხმებით თუ არა, რომ უკანონოდ მიმდინარეობს 05.29.17.054 და 05.29.17.075 საკადასტრო კოდებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მშენებლობა? ასევე თქვენი აზრით იკვეთება თუ არა თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან გულგრილობა, თანამომაწილეობა უკანონო მშენებლობაში, როცა რიგითი მოქალაქე თუ უკანონოდ აშენებს, თუნდაც ჯიხურს მერია ახორციელებს დემონტაჟს ხოლო ამ შემთხვევაში დემონტაჟის გადაწყვეტილებას არ იღებს. თქვენი აზრით დანაშაულის ნიშნებს შეიცავს თუ არა მერიის უმოქმედობა/მოქმედება და რა რეაგირებას ახდენთ?
5. როცა უკანონოდ აშენებულ შენობებში შესახლებულია ასეულობით ადამიანი და ცხოვრობენ საფრთხის ქვეშ, რადგან არც მშენებლობის ნებართვაა გაცემული

და არც ექსპლუატაციაშია მიღებული, იღებთ თუ არა პასუხისმგებლობას მათ უსაფრთხოებაზე, რისკებსა და შესაძლო მძიმე შედეგებზე?

6. თქვენთვის მისაღებია თუ არა 05.29.17.054 და 05.29.17.075 საკადასტრო კოდებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე აშენებულ ციხის ტიპის კაზარმებში ასობით ადამიანი ცხოვრობდეს გამოკეტილი, გარე სამყაროსაგან მოწყვეტილი?
7. რა საქმიანობას ახორციელებს კომპანია, რომელიც განთავსებულია უკანონოდ აშენებულ შენობებში? ესაჭირიებათ თუ არა საქმიანობისათვის აუცილებელი ლიცენზიები, ნებართვები, რა საქმიანობის ნებართვები და ლიცენზიებია გაცემული დღეისათვის?
8. რამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქეა ჩამოსული აღნიშნულ კომპანიაში საქმიანობის მიზნით? გაცემულია თუ არა ბინადრობის მოწმობები, რამდენ მოქალაქეზეა გაცემული ბინადრობის მოწმობა?
9. პირადად თქვენ ან მთავრობის წევრები იმყოფებოდით თუ არა 05.29.17.054 და 05.29.17.075 საკადასტრო კოდებზე არსებულ ობიექტზე, როდის და რა მიზნით? შეხვდით თუ არა იქ დასაქმებულ პირებს, დაათვალიერეთ თუ არა შენობები და თქვენი აზრით ის აკმაყოფილებს თუ არა დადგენილ სტანდარტებს?
10. ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებულ ობიექტებზე არ უშვებენ ქ. ბათუმის საკრებულოს და უმაღლესი საბჭოს წევრებს. თქვენი აზრით კანონიერია თუ არა კომპანიის ეს გადაწყვეტილება და როგორც მთავრობის თავმჯდომარე რა რეაგირებას მოახდენთ?
11. სურვილი გვაქვს დავათვალიეროთ ტერიტორია და გავესაუბროთ იქ დასაქმებულ ადამიანებს, ხომ არ ირღვევა მათი უფლებები, ხომ არ არიან ტრეფიკინგის მსხვერპლი. აღნიშნულიდან გამომდინარე სურვილი გვაქვს ვიზიტი განვახორციელოთ თქვენთან ერთად. გთხოვთ გვაცნობოთ თქვენთვის მისაღები თარიღი და დრო.

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"